საიამ პარლამენტს უზენაესი სასამართლოს პლენუმთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადება წარუდგინა

2023 წლის 15 თებერვალს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პარლამენტს უზენაესი სასამართლოს პლენუმთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადება წარუდგინა.

საკანონმდებლო წინადადების შესაბამისად ცვლილება შედის Ḍ□□□□□□ სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონსა □ და Ḍ□□□□□□□□□□□□□□ სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წლებია მუშაობს მართლმსაჯულების მიმართულებით. ჩვენ ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ სასამართლოს დამოუკიდებლობის, სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას საქართველოში. ამ მიზნით საია 2020-22 წლის განმავლობაში აკვირდებოდა უზენაესი სასამართლოს პლენუმის მუშაობას. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელთა მოგვარებაც საჭიროა ამ კოლეგიური ორგანოს გამართული ფუნქციონირებისათვის.

განსაკუთრებით პრობლემურია რამდენიმე საკითხი:

- პლენუმის შემადგენლობა;

- პლენუმის სხდომის ჩანიშვნის ვადები, მოსამართლეთა მოთხოვნის შემთხვევაში;

- პლენუმის წევრთა ინფორმირება სხდომასთან და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;

- ინფორმაციის გამოქვეყნება იმ კანდიდატთა შესახებ, რომლებსაც პლენუმი თანამდებობაზენიშნავს;

- სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება;

- სხდომების ღიაობა, ვებგვერდზე პლენუმის ოქმების გამოქვეყნებისა და აუდიო ოქმების წარმოების საკითხი;

- უზენაესი სასამართლოს რეგლამენტის არარსებობა;

- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატის დანიშვნის წესი;

- საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა;

- პლენუმის უფლებამოსილება, რეკომენდაციით მიმართოს პრეზიდენტსა და მთავრობასსაერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო ცვლილებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მუშაობის ხარისხს.

იხილეთ დოკუმენტები:

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე